

საბანკო სექტორის როლი ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში

შორენა მჭავანაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

XXI საუკუნეში სრულიად ახალი, კრეატიული, ინოვაციური განვითარების ერა დაიწყო, აქედან გამომდინარე, ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანაა მისი ინოვაციურ ტრანსფორმაციაზე გადასვლა. ეს ამოცანა ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოსთვის, სადაც ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მძლავრ აქტივიზაციას.

დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკის ინოვაციური განვითარება გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებად ითვლება. ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები გაანალიზებულია საბანკო სექტორის, კერძოდ სს პროკრედიტ ბანკის მაგალითზე, მთელი თავისი ინოვაციური აქტივობებით, რის საფუძველზეც დასაბუთებულია, რომ საბანკო სექტორის პოტენციალის და რესურსის ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური განვითარებისთვის გამართლებული და ნაყოფიერი იქნება საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, საბანკო სექტორი, ინოვაციური განვითარება, ინოვაციების დაფინანსების წყაროები.

ძირითადი ტექსტი:

კომერციულ ბანკებს და ზოგადად საფინანსო სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში აქვთ თავიანთი ძალიან მნიშვნელოვანი განსაზღვრული როლი. საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს და იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად

ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს.

დღეს, როდესაც საფინანსო სექტორი მჭიდრო კავშირშია თითოეულ მოქალაქესთან, ბიზნესთან და, საბოლოო ჯამში, ძლიერი ეკონომიკის ფორმირებასთან, გასაგები ხდება რამდენად მნიშვნელოვანია მოდერნიზებული და ინოვაციური საბანკო სისტემის არსებობა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით ქვეყნის ინოვაციური განვითარებისათვის. მითუმეტეს მნიშვნელოვანია საბანკო სისტემის როლი პატარა ქვეყნის პირობებში, ვინაიდან საბანკო სექტორს მჭიდრო კავშირი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და აქვს ძლიერი დაფინანსების წყაროების გამოყენების შესაძლებლობა, რათა შეასრულოს მათზე დაკისრებული უმთავრესი ფუნქციები: მოახდინოს ეკონომიკის დაკრედიტება, აგრო და ბიზნეს სექტორის დაფინანსება, საფინანსო ბარზის განვითარების ხელშეწყობა, დეპოზიტების მოზიდვა და ფიზიკური პირების ქრილში დაკრედიტება. სწორედ ყველა ეს ფუნქცია მიმართული უნდა იყოს ინოვაციური განვითარებისაკენ.

ხაზგასასმელია აღინიშნოს, რომ ქართული საბანკო სექტორი, ერთ-ერთი მოწინავე სექტორია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არსების განვითარებით, საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით, მრავალფეროვანი და ინოვაციური საბანკო პროდუქტების წარდგენით, უსაფრთხოებიდა და მოქნილობით.

საქართველოს საბანკო სექტორში ინოვაციური განვითარების მიმართულებით საუკეთესო მაგალითად განიხილება სს პროკრედიტ ბანკი, რომელიც ქართულ საბანკო სივრცეში 1999 წლიდან ოპერირებს, და რომელიც ბაზარზე წარმოდგენილია უცხოური დაფინანსებით. თავისი გერმანული გამოცდილებისა და აპრობირებული თანამედროვე ევროპული სტანდარტების შემოღებით, მომხმარებლებს განსხვავებულ ინოვაციურ საბანკო ხედვას და მომსახურებას სთავაზობს. კერძოდ, ინოვაციური მიდგომები მომსახურების სფეროში და ტექნოლოგიური ინოვაციები - ეს ის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, რაც პროკრედიტ

ბანკს საქართველოს ბაზარზე არსებული ყველა სხვა ბანკისგან გამოარჩევს. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ძალიან სწრაფად იცვლება ტექნოლოგიები, ბანკის მუდმივი პრიორიტეტია, იყოს ინოვაციური და პირველმა დანერგოს ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქტები. რა თქმა უნდა, აღნიშნული სტრატეგიის სწორად და ეფექტურად განხორციელება ზოგადად დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ბიზნეს სექტორის განვითარებასა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

პროგრედიტ ბანკმა ბოლო წლების განმავლობაში თავის ერთ-ერთ მომხმარებლებს სხვადასხვა ინოვაციური პროექტი შესთავაზა. ბანკი თავის მიზნობრივ სემინტს, კერძოდ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს, განსაკუთრებულ პირობებს უქმნის, რომ მათ საჭირო მომსახურების მიღება კომფორტულად დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეძლონ. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში ბანკმა განახორციელა 2015 წელს, რა პერიოდშიც 4 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია მოახდინა საინოვაციო საქმიანობაში. დანერგილ ინოვაციურ ტექნოლოგიას ანალოგი არ ჰყავს ქართულ საბანკო სივრცეში. თვითმომსახურების სივრცეში (24/7) განთავსებული ეს თანამედროვე, მრავალფუნქციური, უსაფრთხო და ინოვაციური აპარატები:

1. უნივერსალური ბანკომატი (**UNIVERSAL ATM**) - უნივერსალ პლიუსი, რომლითაც შესაძლებელია მომხმარებლის ანგარიშიდან თანხის შეტანა-გატანის ოპერაციის განხორციელება ლარის, დოლარის და ევროს კუპიურებით;

2. სწრაფი გადახდის აპარატი (**PAY BOX**), რომელიც იძლევა საშუალებას ნებისმიერ დროს განათავსოს თანხა მომხმარებელმა, საკუთარ, და ასევე სხვა ნებისმიერი ფიზიკური პირის ანგარიშზე. აპარატით ასევე შესაძლებელია დეპოზიტის სატრანზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება ლარსა და დოლარში;

3. სეიფი (**DROP BOX**), რომელიც განკუთვნილია ბიზნეს კლიენტებისთვის, რომლებიც საკმაოდ ხშირად ახორციელებენ დიდი ოდენობის თანხების შეტანას (როგორც კომპანიის წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები). მომხმარებელი ახდენს გადათვლილი თანხის განთავსებას ბანკის მიერ წინასწარ გადაცე-

მულ სპეციალურ პარკში, რომელსაც შემდეგ მოათავსებს DROP BOX აპარატი. მომხმარებლის მიერ მითითებული თანხის ასახვა მიმდინარე ანგარიშზე ხდება ავტომატურად. თანხის განთავსება-იურიდიული და პიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებზე ლარ-ში, აშშ დოლარსა და ევროში;

4. ბანკომატი (ATM), რომელიც თანხის განაღდების, ნაშთის შემოწმებისა და ბოლოს განხორციელებული ტრანზაქციების ნახვის შესაძლებლობას იძლევა. აპარატით სარგებლობისთვის საჭიროა FelxCard მასტერქარდ სადებეტო/ვიზა კლასიკის ტიპის ბარათები;

5. საინფორმაციო ტერმინალი (INFO TERMINAL), რომლი-თაც სრულად უზრუნველყოფილი წვდომა ინტერნეტ ბანკინგზე, ასევე ბანკის ვებ-გვერდსა და სატელეფონო მომსახურების ცენ-ტრთან.

დისტანციური არხების მოქნილობიდან გამომდინარე პროკრედიტ ბანკში საბანკო ოპერაციების თითქმის 99%-ის განხ-ორციელება მომხმარებელთათვის უკვე დამოუკიდებლად ხელმი-საწვდომია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და კომფორტულია კლი-ენტებისთვის, განსაკუთრებით ბიზნეს კლიენტებისათვის დროის დაზოგვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების (თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის) კუთხით.

დისტანციური არხების სრულყოფის პარალელურად ბანკი დაფინანსების მოქნილ და ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს კომპანიებს სხვადასხვა ინოვაციური სასესხო პროდუქტებით. პროგრამა CO-FINANCE, რომელიც შეიქმნა პროკრედიტ ბანკი საქართველოსა და პროკრედიტ ბანკი გერმანიის ურთიერთ-თანამშრომლობის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში კომ-პანიებს შესაძლებლობა ექმნებათ დაფინანსება მიიღონ პირდა-პირ გერმანული ბანკისგან. პროგრამა ემსახურება იმ ბიზნესების მხარდაჭერას, რომელთა განვითარების გეგმაც გრძელვადიანია. პროგრამის გათვალისწინებით დაფინანსება ხორციელდება შე-ღავათიანო საპროცენტო განაკვეთით;

დასკვნა:

პროგრედიტ ბანკის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ საქართველოში რეალურად საბანკო სექტორის როლი და პოტენციალი ინოვაციური განვითარების მიმართულებით ძალიან დიდია, ასევე შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციის სწორად რეალიზებას (განსაკუთრებით ინოვაციური მიმართულებით). მთავარია ყოველივე ეს გამოყენებული იქნას ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, ვინაიდან საბანკო სექტორი ეკონომიკის ყველა სფეროზე ახდენს გავლენას და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედუნარიანობას განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადოს მსგავსი ტიპის ინვესტიციას, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ბიზნეს სექტორს ანალოგიური ინვესტიციის შემოძინებასა და მოზიდვაში. სახელმწიფოს მხრიდან რეგულარულად უნდა გამოიხატებოდეს ინიციატივები, უნდა ხდებოდეს მასტიმულირებელი და ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, მარეგულირებლის მხრიდან ურთიერთთანამშრომლობით უნდა ხდებოდეს საბანკო სექტორისთვის პრიორიტეტული საჭიროებების დადგენა და ინდივიდუალური მიდგომებით, საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა მიმართულებით მხარდაჭერა. შესაძლებელია მოხდეს ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკის მიერ ერთობლივი ინოვაციური პროექტების დამუშავება, დაფინანსების ხელშეწყობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, წახალისება, სტიმულირება და ა.შ. , რითაც მოხდება ინოვაციური საქმიანობის უპირატესი განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ინოვაციის ნდობის და სტაბილურობის შეგრძნების ამაღლება ბიზნეს სექტორში, რაც უფრო მეტ ინტერესს გაუჩენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს ინოვაციური მიმართულებით განვითარების მიმართ, შესაბამისად უფრო სწრაფად მოხდება ქვეყნის ინოვაციური განვითარება. ინოვაციური საქმიანობის წარმატების და სტაბილურობის ნდობის ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა რესურსების-დანაზოგების ინოვაციური განვითარებისათვის.

რების მიმართულებით გამოყენებისთვის, ვინაიდან ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაზოგები-სადეპოზიტო პორტფელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://procreditbank.ge/ge/ბანკის-ისტორია-უკანასკნელად-იქნა-გადამონმეხული> - 18.05.2019;
2. <https://www.procreditbank.ge/ge/სივრცე-247?mid=910> - უკანასკნელად იქნა გადამონმეხული - 18.05.2019;
3. <https://www.procreditbank.ge/ge/ბიზნეს-დაფინანსება-0?mid=890>-უკანასკნელად იქნა გადამონმეხული - 18.05.2019;
4. <https://www.forbes.com/innovation/#1dea0fe56834>

THE ROLE OF THE BANKING SECTOR IN THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE ACTIVITY

Shorena Mzhavanadze,
Georgian Technical University, PhD student

RESUME

In the XXI century, the new, creative development period began, therefore, the main task of the socio-economic development of the country is to go on its innovative trajectory, maximizing the principles of the new economic factors that characterize the post-deteriorating information era. This task is very important for modern Georgia, where the need for transition to an innovative path of economic development requires a stronger activation of innovative activity. In today's world the innovative development of economy is considered one of the topical directions of globalization and economic integration.

The article presents the innovative development opportunities

and perspectives on the banking sector, as today the banking sector comprises 93% of the financial market and is mainly represented by the significant role of the strong foreign capital in the Georgian reality. The Georgian banking system is 60% of Georgian economy and therefore has a great influence on the country's innovative development, as well as on the innovations, and on its facilitating and stimulating functions. The main role of this sector is presented by JSC ProCredit Bank in the course of Georgia with all its innovative activities, which is reasonable that the proper use of the banking sector's potential and resources is justified and productive for innovative development in Georgia.

Keywords: Innovation, innovation policy, Banking sector, innovative development, innovations financing sources.